ოქმი N16

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 14 დეკემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 12

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დოდო გაბუნია
5. მერაბ ფილიპია
6. თენგიზ აბაკელია
7. თემურ გულუა
8. კახა ლატარია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 12 დეკემბრის N03/4951 წერილის განხილვა („აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი" ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებლები: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგის გაცნობის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მიღების მიზანია, ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, რეგიონის იმიჯის

ხელშეწყობა, ტურიზმის პოპულარიზება და ამ სფეროში ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული. ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით რეგიონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მხრიდან მიღებულია გადაწყვეტილება აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი" ერთობილვად დაფუძნების თაობაზე

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 12 დეკემბრის N03/4951 წერილის განხილვა („აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი" ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებლები: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი" ერთობილვად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 21-ე და 106[1] მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტებს შორის 2018 წლის 11 დეკემბერს ქ. ზუგდიდში გაფორმდა შეთანხმება ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრის" ერთობლივად დაფუძნების თაობაზე. ამავე კანონის შესაბამისად, ერთობლივი პროექტების

განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, სხვა მუნიციპალიტეტებთან დადოს ხელშეკრულება საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის და 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების თაობაზე. ამ კანონის 106[1] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის უფლებამოსილებებს ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და ამტკიცებს ის შესაბამისი იურიდიული პირის წესდებას. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო მერს აძლევს თანხმობას გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების მოწონებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მერიის მიერ ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, მომზადდა განკარგულების პროექტი აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრის" ერთობლივად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა